

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.03.2021


### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2021 წლის თებერვალი

#### ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.3 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.01 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.1 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 3.4 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 1.5 პროცენტით.

### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.03.2021

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.1 პროცენტით. სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე და საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით. ამასთან, აღსანიშნავია ფასების ზრდა წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე 0.7 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.5 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 0.3 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების ზრდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 6.0 პროცენტით, ხოლო დასაწყობებისა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 16.6 პროცენტით. ამასთან, ფასები შემცირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 25.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის თებერვალში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>100.3</b>	<b>0.28</b>
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	106.0	4.72
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	74.1	-4.83
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	116.6	0.36

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.03.2021

### სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.01 პროცენტით. აღსანიშნავია სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასების ზრდა 0.2 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 0.1 პროცენტით. ფასები გაიზარდა სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე 1.4 პროცენტით, ხოლო უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე 0.04 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის თებერვალში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>100.1</b>	<b>0.11</b>
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.0	0.02
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	101.4	0.09

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.03.2021

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 3.4 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების ზრდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 2.9 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 4.3 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 1.5 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 6.9 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები შემცირდა 9.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის თებერვალში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>101.5</b>	<b>1.48</b>
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	90.5	-2.12
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	106.9	3.60

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)